საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

სამშაბათი ივლისის 5

1921 წ.

№ 102

ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელ ფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისის 1-ს ქალ. ბაქოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ინჟენერი ვიქტორ გიორგის ძე გელოვანი**

რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ თავზარდაცემულნი: მეუღლე ანა სერაფიონის ასული, შვილი არჩილ, ძმები: ალექსანდრე და ჯიუ, რძლები: სარა, პასიკო და გუგული, ძმისწულები: ქეთევანა, თამარ, ელენე, ეკენია, შალვა, ლილი და ლუტა, ქვისლი ექიმ კაპიტონ მეუნარგია და მეუღლე მისი თამარ და სიძე და მეგობარი ლადო გვაზავა. 1095

## ხელ-ახალი რეგისტრაცია.

**სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტის დადგენილების თანახმად, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს წევრთა ხელ-ახალი რეგისტრაცია.**

**ტფილისში რეგისტრაცია დამთავრდა სამ უბანში გრძელდება შემდეგ უბნებში:**

ვაგზლის უბანში ამხ. კ. ბაქრაძესთან VI საბჭოთა აფთიაქში (ვაგზლის ქ. № 8) დიდუბის უბანში—კბილის ექიმ ბაქრაძესთან მუშტაიდის შესახვ. № 11.

1. ავლაბარში—პარტიულ ბიუროში სადამოს 6—8-მდე (კახეთის მოედანი № 5).
2. ნაძალადევში—გიორგი სოლოღაშვილთან, სად. 4—6-მდე. (ხრებტოვის ქ. № 220).
3. მე-9 უბანი—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილების მდივან ელიაშვილთან. 9—2-მდე. ჩერქეზოვის ქუჩა № 36 სად. 4—5-მდე.
4. რკინისგზის მთავარ სახელოსნოში—გიორგი სოლოღაშვილთან სახარატო ცეხში დილის 8—2-მდე და აგრეთვე რედაქციაში და პარტიის ცენტრალურ ბიუროში.

**საგანგებო საორგანიზაციო სამეული.**

## ისევ ლტოლვილების შესახებ.

ლტოლვილების საკითხი პირველად არ ისმება საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მმართველი წრეების წინაშე. ძველი დროის ამბებს თავი რომ დავანებოთ, ამ სამი წლის განმავლობაში იმდენი ითქვა და დაიწერა ლტოლვილებზე, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს საკითხი ისევ დაგვას გამოიწვევდა.

ამბობენ: ისტორია არ მეორდებაო. ეს ყოველთვის მართალი არ არის. ისტორია ხშირად მეორდება და, სამწუხაროდ, ძლიერ ცუდად მეორდება.

„ისტორიის თავიდან დაწყებას" ამ ჟამად გაზეთ „კომუნისტს" ეკუთვნის.

გაზეთი „კომუნისტი" ეხება ლტოლვილების საკითხს და მას ინტერნაციონალური თვალსაზრისით აშუქებს.

გაზეთი „კომუნისტი" გმობს შოვინისტურ პოლიტიკას, ის უარყოფს შოვინისტურ ლოზუნგს, რომელიც ამბობს: „საქართველო ქართველებისთვისო" და მას უპირისპირებს საკუთარ ინტერნაციონალურ შეხედულებას: „საქართველო მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის".

ამას წინედ ამხ. ლენინმა განაცხადა: ჩვენ ახლა მე 4 კურსზე გადავდივართო. ეტყობა, კომუნისტის თანამშრომელი ჯერ ისევ პირველ კურსზე უნდა იყოს, რომ ამ საკითხს ისე ზერელედ და არსებითად ყალბი და არქაიული შეხედულებათა თვალსაზრისით უდგება.

გაზეთი „კომუნისტის" აზრილტოლვილებზე ჩვენ უკომენტარიოთ შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ ჩვენ დ ვდგებით ქრისტიანული მორალის თვალსაზრისზე.

მართ. ლაც, კომუნისტი მეტად პრიმიტიულად და ემპირიულად მსჯელობს. მისი სილოგიზმი მარტივია,—ის ამბობს: ჩვენ ხსკენ გაჭირვებული ხალხი მიდის, ჩვენ სოციალისტები ვართ, ამიტომ გაჭირვებულთ უნდა დავეხმაროთო. ასეთი შეხედულება სავსებით ეთანხმება ქრისტეს მოძღვრებას, რომელიც ამბობს: თუ ორი პერანგი გაქვს, ერთი შენ დაიტოვე, მეორე სხვას მიეციო. ჯერ ერთი „კომუნისტს" სამწუხაროდ, ავიწყდება, რომ დღეს ჩვენში ბევრს არამც თუ ორი პერანგი, „პერანგის ანახანაგებიც" არ მოეპოება! ესეც რომ არ იყოს კომუნისტის მსჯელობაში სრულებით არ არის არც რევოლიუციონური მაღალი და არც რევოლიუციონური ლოღიკა! საქართველოს დღევანდელი მმართველებს უდიდესი და ურთულესი ამოცანა წამოუყენა ცხოვრებამ: ეს არის ქვეყნის გარდაქმნა, ცხოვრების ახალ საფუძვლებზე აწყობა. ყოველივე ის, რაც ამ ძირითად ამოცანას შეაფერხებს, ის ცხოვრებაში გატარებას ხელს შეუშლის, ულმობელის ხელით უნდა იქნეს უკუგდებული და აი ჩვენ ვეკითხებით „კომუნისტს": როდესაც ნორჩ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც აუერება დაბრკოლებები ეღობება წინ, ემატება საშინელი ტვირთი ლტოლვილთა სახით, ეს ხელს შეუწყობს, უფრო გააჯანსაღებს, თუ უფრო გააძნელებს, შეაფერხებს საბჭოთა აღმშენებლობას? რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის, უფრო გაართულებს!.

რევოლიუციონური მორალი და ქველმოქმედება სხვადასხვა კატეგორიის მოვლენაა. ეს არ უნდა დავივიწყოთ. შეიძლება გვითხრან: ეს ქველმოქმედება კი არ არის, არამედ ჩვენი მოვალეობაო. შეიძლება, მაგრამ თუ მოვალეობაზე არის ლაპარაკი, მაშინ ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა უპირველეს ყოვლისა საქართველოს მშრომელთადმი იქნებ ეს არის ნაციონალიზმი?—არა მგონია! ვსთქვათ, მაგალითად, საქ. რკინის გზელებს რომ მოშიეულეთ, ვინ არის უპირველეს ყოვლისა ვალდებული მათ მიხედოს, ისინი დაკმაყოფილოს—საქართველოს კომუნისტური მთავრობა, თუ აზერბაიჯანის ან სომხეთის კომუნისტები? რა თქმა უნდა, ვალდებულია საქართველოს მთავრობა, საქართველოს კომუნისტები!.

„ყვავს არ ჰქონდა ბუს გაჰქონდაო", ამბობს ქართული ანდაზა. ეს ანდაზა „კომუნისტს" სახელმძღვანელო პრინციპად გაუხდია და ფიქრობს, რომ ეს ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი არის, ნამდვილად კი ინტერნაციონალიზმი აქ არაფერ შუაშია. ბევრს გონია, რომ თუ ინტერნაციონალი ახსენა, მის დებულებებს მეტი საბუთი აღარ სჭირდება, ნამდვილად კი ინტერნაციონალიზმი განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ზოგიერთების ხელში გადაიქცა შირმათ, რომლის ქვეშ გააქვთ და გამოაქვთ დიდი შოვინისტური და იმპერიალისტური კონტრაბანდა ან საშინელი უმეცრება საქართველო ქართველებისათვის, ამბობენ ნაციონალისტები, საქართველო მთელი მსოფლიოს მშრომელთათვისო, მოითხოვს კომუნისტი. ჩვენ კი ვამბობთ: **საქართველო უპირველეს ყოვლისა საქართველოს მოქალაქეთათვის, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სხვა.** ასეთია ჩვენი დებულება. ის არის ერთად ერთი სადი სოციალისტური შეხედულება. ვინც მას უარყოფს, მას არა სწამს საქართველოს დამოუკიდებლობა, ის არა დგას სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და საქართველოში სოციალისტური რევოლიუციის გამა ჯავის საქმეს საშინელ ლახვარს სცემს.

საქართველო მსოფლიოსათვის, მთელი მსოფლიო საქართველოსათვისა, ამბობს კომუნისტი. ეს შორეული იდეალია: როცა ყველგან განმტკიცდება სოციალისტური წეს-წყობილება, როცა სოციალიზმის ნიადაგზე ადამიანი სულიერად გარდაიქმნება, როცა ის ეზიარება მაღალ კულტურას და ეროვნულ მრავალფეროვნებასა და ჰარმონიულ სრულ ყოფილ პიროვნებაში დაინახავს კაცობრიობის განვითარების აუცილებელ პირობას და სოციალიზმის უმაღლეს მიღწევას, მაშინ შეიძლება განხორციელდეს დებულება: საქართველო მთელი ქვეყნის მშრომელთათვის, მთელი მსოფლიო საქართველოს მშრომელთათვისო, მაგრამ ეს დებულება **ხადღეისო პოლიტიკის საფუძვლად ვერ გამოდგება!**

მთელი მსოფლიო საქართველოზე მილიონ-ჯერ მდიდარია და კიდევაც რომ მივიღოთ კომუნისტის დებულება, საქართველომ, როგორც მსოფლიოზე მილიონჯერ ღარიბმა უპირველეს ყოვლისა თვითონ უნდა მიიღოს მსოფლიოსაგან მისი ეკონომიურ კულტურული სიკეთენი!..

კომუნისტი ებრძვის ნაციონალისტებს, რომლებიც ამბობენ: საქართველო ქართველებისთვისო. ამ ბრძოლაში ჩვენც „კომუნისტთან" ვართ, ვინაიდან შოვინისტების ლოზუნგის რეალიზაცია საქართველოს საშიშ უბედურებას უქადებს. ის ძირს გამოუთხრიდა საქართველოს, ის გაადვილებდა საშინელ შუღლსა და ბრძოლას საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა და ქართველებს შორის. ლოზუნგი საქართველო ქართველებისათვის ჭეშმარიტად დამღუპველია საქართველოსათვის, მაგრამ კომუნისტს ავიწყდება, რომ გარდა ლოზუნგისა: საქართველო ქართველებისათვის, არის არა ნაკლებ შოვინისტური და იმპერიალისტური ლოზუნგები. ასეთია ლოზუნგი: **საქართველო სომხებისათვის, ან საქართველო რუსებისათვის და სხვ.**

ჩვენ ვებრძვით როგორც იმათ, ვინც ამბობს: საქართველო ქართველებისათვისო, ისე იმათაც, ვინც სიტყვით თუ საქმით ამბობს: საქართველო სომხებისთვის, საქართველო რუსებისათვისო. კომუნისტი ებრძვის პირველს, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერს ამბობს დანარჩენებზე!..

„კომუნისტის" წერილიდან აშკარად გამოსჭვივის, რომ ის დღესაც იზიარებს კომუნისტური მანიფესტის დებულებას, რომ თითქოს პროლეტარიატს სამშობლო არა აქვს.

ეს დებულება მსოფლიო ომისა და მის შემდეგ მომხდარი ამბებით უკვე დარღვეულია. თვით მარქსი, რომელმაც დასწერა, რომ პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო, არა ერთხელ ლაპარაკობდა გერმანიაზე, როგორც თავის სამშობლოზე.

ლასალი უფრო შორს მიდიოდა. ლასალი სწერდა: თუ ლანია შლეზვიგზე ხელს არ აიღებს, გერმანიამ მას ომი უნდა გამოუცხადოსო. მარა რადა შორს წავიდნეთ. ვინ გვახსოვს რუსეთის სახალხო კომისრების არა ერთი მოწოდება სადაც შავათ თეთრზე ნათქვამია: „გაუმარჯოს სოციალისტურ სამშობლოს გაუმარჯოს თავისუფალი სამშობლოს, თავდაცვასო"!..

საქართველოს გავსება ლტოლვილებით მიუღებელია როგორც პოლიტიკურად, ისე ეროვნულადაც. საქართველოს სხვადასხვა კუთხეები ისედაც აჭრელებულია და თუ მას ახალი ელემენტები ჩაესახლა, ეს ჩვენ შეგვმატებს მხოლოდ ეროვნულ შეხლა-შემოხლას და შუღლს. ქაოტიურად და უკონტროლოდ ლტოლვილების შემოშვება მიუღებელია ეკონომიურად. ჩვენში ხომ სურსათ-სანოვაგის და მიწის საშინელი სივიწროვეა!..

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის მიუღებელია სანიტარული თვალსაზრისით.

ვინ არ იცის რომ აზიის ლტოლვილი ეს არის ჭეშმარიტად ადამიანის ბაცილა, რომელიც დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენში უკვე სხვა და სხვა გადამდები სენია, მეტად დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

მაშ, როგორ მოვიქცეთ, ლტოლვილებს თოფ-ზარბაზნებით დავხვდეთო, გვეტყვიან. არა! ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ, რითაც შეგვიძლიან. ლტოლვილების დენას საქართველოსაკენ აქვს თავის მიზეზები. ამიტომ, თუ აუცილებელია **ლტოლვილების მიღება, ისინი უნდა განაწილდენ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პროპორციულად ამ რესპუბლიკების სივრცისა და ნივთიერ შეძლებლობათა მიხედვით.**

ამას მოითხოვს ინტერნაციონალიზმი და თვით ლტოლვილთა მდგომარეობაც.

შ.—ელი.

## ნაცარ-ქექია კუდიანზე

ხუთშაბათს, ივნისის 30, სოფი ძმებ-რალთა სასახლეში, გრ. რობაქიძემ წაიკითხა მოხსენება ქართულ ლიტერატურის შესახებ. საგულისხმო იყო თვით დასაწყისი: თქვენ არ გელაპარაკებათ არც ლიტერატურის ისტორიკოსი, არც პროფესორი, რადგან ყოველი აკადემიზმი მე მძულს. თქვენ გელაპარაკებათ ქართველი პოეტი და ესთეტი გრიგოლ რობაქიძე, რომლის ყოველი სიტყვა იმით არის მართალი, რომ გრი-გო-რი რო-ბა-ქი-ძეს ეკუთვნიანო. შემდეგ მოჰყვა მეხუთე საუკუნიდან, ილაპარაკა სასულიერო ლირიკაზე, მოისმხედებელ ეპოქაზე და შოთა რუსთაველი გამოაცხადა დღემდე დაუძლეველ პოეტად. შემდეგ მონგოლიზმმა დასცა საქართველო, და მეთვრამეტე საუკუნეში ორი სახელი და გამოჩნდა, ღირსი პოეტის სახელისა: დ. გურამიშვილი და ბესიკი. ეს უკანასკნელი სპარსელ პოეტად გამოაცხადა. შემდეგ ალ. ჭავჭავაძე, ბარათაშვილი, ორბელიანი, ილია, აკაკი. ყველას მოხვდა გრ. რობაქიძის „გამნადგურებელი" სიტყვა. ვაჟა და ყაზბეგი უფრო დიდი პოეტები არიან, განსაკუთრებით ვაჟა თავისი „ველური გადაგვარდნით." ვაჟას შემდეგ სიცარიელეა, და მხოლოდ დღეს გაჩნდა ქართული პოეზია „ცის-ფერ ყანწების" ჯგუფის სახით. ამ ჯგუფმა, რომელსაც ემეთაურობთ მე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე და ვ. გაფრინდაშვილი, უკვე დაამარცხა რუსთაველი, და ჩვენგან იწყება ქართულ პოეზიის გამოცხადება. ქართველ ერის მხატვრული პოტენცია დღეიდან ადგება გამომჟღავნების გზას, და ჩვენი ნიშნით მიუძღვით წინ. კარგა ხანია, რაც ქართველ საზოგადოებას ხელთათმანი გადაუგდეთ, მაგრამ მოწინააღმდეგე არა სჩანს. ჩვენი ხმალი ვერ შეხვდა მოწინააღმდეგის ძახვილს. ჩვენი გამარჯვება ჯერ წინ არისო. ღირსშესანიშნავია ერთი გარემოებაც, რობაქიძემ საქართველო ოთხი რასის კონგლომერატად გამოაცხადა: იბერები მესხები, ქართები, და კოლხები. მათ შორის განსხვავება ინტელექტუალურიც და ფსიხოლოგიურიც. იბერიაში, ანუ იმერეთშია შენახული ნამდვილი ქართული სული. აღმოსავლეთი საქართველო კი გადაშენებულია, რის საუკეთესო ილიუსტრაციაა ტფილისი თავის „მოქალაქით" ეს ეთნიური სუმბური, სადაც ყველაფერია, საქართველოს გარდა. ტფილისი არ არის ქართული ქალაქი. მონღოლეის შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო კვდება და მოკვდა კიდეცო.

თანაც შესჩივლა დამსწრე საზოგადოებას, რომ დაქვეითებული ქართველი საზოგადოება ვერ ითმენს თავისუფალ აზრს და ანტი-პატრიოტიზმში გვდებს ბრალსო. მაგრამ ლექტორს ამისი არ ეშინიან, და კვლავ განაგრძობს ამ გზით სიარულს.

საზოგადოდ ეს ლექცია საუკეთესო დამთავრება იყო იმ „გადაგვარების" რომელიც დაიწყო რობაქიძემ აზროვნების სფეროდან უაზრობის უფსკრულში. ის უკვე გადაგვარდნილია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს ყველა სარბიელზე დამარცხებული კაცი ქალიგულასავით სენატორობას ანიჭებს ცხენებს, და ნერონივით თვით იმზადებს დაფნის გვირგვინებს. იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ კალიგულა და ნერონი დიდი „გმირები იყვნენ, რობაქიძე კი პატარა ზომის პრეტენდენტია, რუსთაველი დაამარცხეთო, ბაზელის კლიენტებიც კი შესდგებოდნენ ამ თავ-აშვებულობის წინაშე, მხოლოდ ლომბროზოს თუ ამოსდებდა ლაგამს ამ რუსთაველის რენიორს, ხოლო არა ისე, როგორც რობაქიძე სდებს ლაგამს აპოკალიპსის ცხენს თავის „ორლობებში". დამსწრე საზოგადოებამ ტაში დაუკრა ამ „ვერის ხიდის" კუდიანზე გადამჯდარ ნაცარ-ქექიას, რომელიც დევებთან იბრძვის მეფურო კუნჭულებში, მაგრამ ქართველი საზოგადოებაც ტაშს დაუკრავს? თუმც რა. ქართველმა საზოგადოებამ უკვე დაავალა ეს ყველა ფრონტზე დამარცხებული „ნოვატორი", და აუდიტორიად დაუტოვა ან სკოლიდან გამორეკილი სნეული ბავშვები, ან კოკაინით თვალ-აჭრელებული „დუელიანტები", ქალის ხელთათმანებს რომ ათამაშებენ, ან და უცხო საზოგადოება,

სადაც მას უქმენენ როგორც ეგზოტიურ ექზემპლიარს. ქართველი საზოგადოება სავსებით მართალია. „ცის-ფერ ყანწელთა“ ცოტაოდენი დამსახურება მათ მიერვე ნიადგება, ერთმანეთის კლაკიორობით ერთმანეთს ამცირებენ, რასაც უნდა თვითვე ბოლო მოუღონ. დაანებონ თავი დიდი ლანდების გამოწვევას. მალიარიის პოეტები სად შეხვდებიან მზის ბატონს? მათ შორის დუელის ხმალი კი ვერ აელვარდება, მხოლოდ რეცეპტი გასჭრის. ეს რეცეპტი უნდა გამოსძებნონ, და ამ რეცეპტს თვით რუსთაველის შემოქმედებაში მოსძებნიან.

„შაირობა არა ჰქვიან, ვინაც სთქვას ერთი, ორი“. და „ხოცვა ნადირთა მცირეთა“ კიდევ არ კმარა გამარჯვებულის ფასის მისაღებად.

დაიცხრეთ „რომაელებო“ ვნება და დაიხსომეთ, რომ რეკლამებით მხოლოდ ცუდი საქონელი საღდება.

ვან-დეიკ.

## ქართული პრესა

ბათუმის საოლქო კომიტეტის და რევკომის ორგანოს („უწყებები“ № 74) თავის მეთაურში „უსაქმოდ მოხეტიალეთ და ქუჩაქუჩა მოლაყბე პირთა“ გასაგონად სწერს:

„რუსის შავრაზმელები და ქართველი შავრაზმელები ორივე ერთია. ორივე დაუძინებელი მტერია ქართველი და რუსის მუშების, ორივე ერთნაირად მოქმედობს მის წინააღმდეგ.

და ის ქართველი, რომელიც ეწევა პროპაგანდას რუს წითელ არმიელების გაყვანის შესახებ საქართველოს საზღვრებიდან მაშინ, როდესაც ჯერ საკუთარი წითელი ჯარი არ შეგვიქმნია—ნამდვილი შავრაზმელია. რუსი, რომელიც აქ საქართველოში არ უწყობს ხელს რევოლიუციონურ საბჭოთა მთავრობის დამცველ წითელ ჯარის შექმნას, ანდა ქართული ენის მაგიერ რუსულ ენაზე თხოულობს დაწესებულებაში საქმის წარმოებას ის აშკარა მტერია საქართველოს საბჭოთა მთავრობის, აშკარა კონტრრევოლიუციონერია. ასეთ მოვლენებს სასტიკათ უნდა ვებრძოლოთ და მის წინააღმდეგ ბრძოლა სავალდებულოთ უნდა გაიხადოს როგორც ქართველმა მუშებმა, ისე რუს მუშებმა.

## იმპერიალიზმი და კოლონიალური პოლიტიკა

ნ

ჩვენს ახალგაზრდობას.

რამდენიმე წერილში ჩვენ მოკლეთ დავახასიათეთ მომენტი და აღვნიშნეთ თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა. რომ ნათელი წარმოდგენა გვექნეს მომენტის შესახებ, საკითხი უფრო ფართოდ უნდა დავსვათ. რა არის თავისთავად დღევანდელი მომენტი? რით ხასიათდება იგი? რა ძალები ქმნიან დღევანდელ მომენტს?

თანამედროვე მომენტი ხასიათდება არა მარტო ერის შინაური ძალთა განწყობილებით და ამა თუ იმ ქვეყნის რეალი ინტერესებით, არამედ მსოფლიო მაშტაბში მომქმედი ძალებით, მსოფლიოს გამგე ძალების ამა თუ იმ ინტერესით. დღევანდელ მომენტს საერთაშორისო თვალსაზრისით ორი ძალის დაპირისპირება ქმნის.

თავდაპირველად უნდა აღნიშნულ იქნეს, რომ ეს ძალები არ უნდა წარმოვიდგინოთ ერთი მხრით ბოლშევიზმი და მეორე მხრით ანტანტა. საკითხის დაყენება არ არის სწორი. ჩვენ ორი ძალის, ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო მოვლენის შინა ბუნებას უნდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება. აქ, არ წყდება საკითხი არც ბოლშევიზმის, არც რუსეთის, არც ანტანტის, ამ შემთხვევაში ერთმანეთს ებრძვის ორი ფორმა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ორი ფორმა სამეურნეო ცხოვრების და რამდენათ ამ საზოგადოე რიგ სტრუქტურასთან დაკავშირებულია რუსეთი, როგორც ეროვნული და საზოგადოებრივი ერთეული, იმდენად წყდება აქ მისი საკითხი, ისე როგორც საერთოდ ყველა ერისა და ხალხის ცხოვრების სოციალური ორგანიზაციის საკითხი.

მაშასადამე, მსოფლიოში დღეს იბრძვის ორი ძალა, სოციალისტური და კაპიტალისტური.

როგორ უნდა უყურებდეთ ჩვენ მომენტს? ერისათვის მომენტის საკითხი ნაციონალური არსებობის საკითხია. ჩვენი მსოფლმხედველობისათვის, როგორც ეროვნულ სოციალისტური მსოფლმხედველობისათვის, ორი რამ არის საყურადღებო მომენტის შერჩევის დროს. პირველი—ეროვნული საკითხის რადიკალურად გადაჭრა, მეორე სოციალისტური ელემენტებლობა.

დღევანდელი მომენტის გარჩევის, დროს რამდენიმე კითხვა შეიძლება დაისვას. პირველი კითხვა უნდა იქნეს, თუ რომელი ძალის გამარჯვება უზრუნველყოფს ჩვენ ეროვნულსა და ეკონომიურ მდგომარეობას. მეორე საკითხი უნდა ეხებოდეს, თუ რომელი ძალა გაიმარჯვებს.

პირველი საკითხის დასმა ერთი მხრით უადგილოც არის, რა თქმა უნდა სოციალისტური ძალის გამარჯვება საუკეთესო პირობებს ჰქმნის ეროვნულ-სოციალურ აღორძინებისათვის მაგრამ, დღეს ჩვენში ზოგიერთი სოციალისტური წრეც კი აღარ აზროვნებს ამნაირად. დღეს ჩვენ, ჩვენი ნების წინააღმდეგ მონაწილენი გავხდით მსოფლიო ტრაგედიის. ასეთ პირობებში, როდესაც ერთი სამყარო დაინგრა და მეორეს აღმოცენება და გამტკიცება არ დაწყებულა, ბუნებრივია, რომ მასის ფსიხოლოგია ძველმა ნანგრევებმა გაიტაცოს და ჭსინანულით მოიგონოს ის ბედნიერი დრო, როდესაც ყოველ შემთხვევაში ასეთი მწვავე ტკივილებით აღარ წარმოიდგენს და არც არის წარმოსადგენი. სწორედ ამიტომ, დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ბოლშევიზმის დამარცხება და საქართველოს პოლიტიკური—და ეკონომიური გაძლიერება სინონიმებია. რა თქმა უნდა საკითხის დასმა ასე არ არის სწორი. ბოლშევიზმი ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთ ერთი სახეობა მსოფლიო სანახაობაში, მსოფლიო ძალთა დაპირისპირებაში. ამით, რასაკვირველია ოდნავადაც არ უნდა იქნეს გამართლებული ბოლშევიკების უხეირო პოლიტიკა საქართველოში, მაგრამ საბოლოოდ მომენტის საკითხს საქართველოსთვის სწყვეტს არა მარტო ბოლშევიზმი, არამედ გარეშე გავლენაც, გარეშე მეტოქეობა. სწორედ ამიტომ საჭიროა დავახასიათოთ ორი შესაძლებლობა, პირველი: საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა კაპიტალიზმის გამარჯვებისას და მეორე: საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა რევოლიუციონური ძალის გამარჯვების დროს.

როგორია დღეს კაპიტალიზმის პოლიტიკა? როგორია მისი ბუნება პატარა ერთა მიმართ? რა პირობებს ქმნის იგი მუშათა კლასის მდგომარეობისათვის?

ყველას მოეხსენება, თუ როგორი მამოძრავებელი სტიმული მისცა კაპიტალისტური წარმოების განვითარებას მანქანების გამოგონებამ. ტეხნიკის პროგრესი მიზეზი შეიქნა კაპიტალის კონცენტრაციის, ხოლო უკანასკნელმა შესძლო წარმოების კონცენტრაცია და საწარმოო საშვალებათა გაუმჯობესებით უამრავი ნაყოფიერება გამოიწვია, რომელიც საქონლის სახით ბაზარზე გასატანათ გამზადდა. ნაციონალური ბაზარი ვერ ასაღებს ნაციონალური პროდუქტთა სიჭარბეს, რომლის მიზეზი გარდა პროდუქტთა დიდი რაოდენობისა, არის მუშათა კლასის (სახელმწიფოს უმრავლესობის) სიღარიბე, რომელიც საშუალებას არ აძლევს საჭირო პროდუქტის შეძენისა, ხოლო მცირე რიცხოვანი ბურჟუაზია არ საჭიროებს მთელ პროდუქტს ნაციონალური წარმოებისას. ცხადია, რომ საჭირო ხდება ახალ ბაზრის ძიება, ახალი ქვეყნის საშვალებით საკუთარი საქონლის გასაღება.

აქედგან კი იწყება საქონლის გატანა გარეშე ბაზარზე, მაგრამ ამავე დროს ასეთივე მდგომარეობა იქმნება სხვა სახელმწიფოებში, სადაც კაპიტალისტური წარმოება განვითარებულია. მაშასადამე ასეთ ქვეყნებში ნაკლები შანსები ექნება საქონლის გასაღებას და საჭირო ხდება ძიება ისეთი ქვეყნის, სადაც ჯერ კაპიტალი არ შეჭრილა, სადაც, არის საქონლის მოთხოვნილება. ასეთ ქვეყნებს კი წარმოადგენს, კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნები, საითკენაც ეშურებიან კაპიტალისტური ქვეყნების ინტერესები და ხშირად იმართება კონკურენცია ჩამორჩენილი ქვეყნების ბაზრისთვის.

რომ რომელიმე მათგანმა უზრუნველყოს თავისი საქონლის გასაღება ამა თუ იმ ახლად შოპოვებულ ბაზარზე და აიცდინოს სხვა ქვეყნის კაპიტალის კონკურენცია, იგი მიმართავს საბაჟოების დაარსებას და გარეშე ვაჭრობა-მრეწველობის შევიწროებას.

ასეთი იყო ინგლისის მოქმედება კოლონიებში, სადაც იგი ნებას არ რთავდა არც სხვა ქვეყნის საქონლის შემოტანას და არც კოლონიის დამოუკიდებელ ეკონომიურ აღორძინებას, წარმოების განვითარებას. აქ ისახება იმპერიალიზმის ბუნება, რომელიც სცდილობს კოლონიოხალ იმპერიის შექმნას.

მას შემდეგ, რაც ევროპაში კაპიტალისტურმა მრეწველობამ ფართო ხასიათი მიიღო, იწყება კოლონიონალი პოლიტიკა და ძებნა ჩამორჩენილი ქვეყნების, სადაც ერთი მხრით შესაძლებელია საქონლის გასაღება და მეორე მხრით შესაძლებელია კოლონიის ბუნებრივ სიმდიდრის ექსპლოატაცია.

18 საუკ. დასასრულამდე, სანამ ამერიკამ თავი არ დააღწია კოლონიონალ მდგომარეობას და დამოუკიდებლობა არ მოიპოვა, ოკეანეს გაღმა ქვეყნები ყველა ევროპის კოლონიებად ითვლებოდა.

კოლონიონალი პოლიტიკა ისტორიულად მეტად ძველია. ჩვენ ვიცით ფინიკიის კოლონიები ძველად, რომელთაგან მარტო კართაგენმა შესძლო დამოუკიდებლობის მოპოება და შეიქნა მაშინდელი უძლიერესი სახელმწიფო. ბერძნებსაც ქონდათ კოლონიები შავი ზღვისა და ხმელთა-შუა ზღვის ნაპირებზე. რომაელებიც ცდილობდენ კოლონიების მოპოებას, მაგრამ მათი კოლონიზაცია უფრო დაპყრობა იყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ევროპის სახელმწიფოთა კოლონიას, ფართო ასპარეზი გადაეშალა ამერიკის აღმოჩენის შემდეგ. მე-16 საუკ—დგან დაწყებული ევროპის სახელმწიფონი ერთმანეთს ეჯიბრებიან კოლონიების მოპოებისათვის. ჩამოყალიბდა ეგ. წოდ. კოლონიონალური სისტემა, რომელიც 17 საუკ. ფართოდ განვითარდა. მისი მიზანი გახდა, ერთი მხრით მეტროპოლიის საქონლის გასაღება და მეორე მხრით კოლონიის ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაცია.

თუ როგორი ხასიათის იყო კაპიტალიზმის შესვლა ჩამორჩენილ ქვეყნებში, ამაზედ შემდეგ

ხერ. ამაღლობელი.

## ერი და ენა

„მყარდალ საფუძველზედ აგებულმა საერთაშორისო ურთიერთობამ კაცობრიობა მსოფლიო ომამდე მიიყვანა,—მსოფლიო ომმა კი საერთაშორისო გარდაქმნა-გარდახალისებამდე. ამ მოვლენათა ერთ-ერთ რგოლს რუსეთის რევოლიუციაც შეადგენს. იქ—რუსეთში—ცხოვრების საფუძველთა სიმყარდლე არა მარტო საერთაშორისო საზღვრებზედ მძვინვარებდა, არამედ თვით შიგ ამ რგოლში მოქცეულ ხალხთა და პიროვნებათა სჯგვლემდა და აწამებდა. აი მიზეზი დიდ რუსეთის ტრამალ მინდვრებზედ აზვირთებულ გარდაქმნის ტალღათა დაუოხრომლობისა და სიმწვავისა! ამ ბრძოლის მძაფრი ღუღუნი დღესაც ტალღას ტალღაზედ აწყობს ორივე ფრთას ქვეყანისას და ამ ტალღათა ნაქრევათქაფნი იალბუზის და ყაზბეგის შიშველ გულ-მკერდზედ, გამოძახილს პოულობს მამისონის ულელ-ტეხილზე და დალესტანის ხევ-ხუვებში“...

ასე, ამ რიგად, ზოგად გრძნობათა ნაკვთებში გვესლინებოდა ჩვენ რუსეთის რევოლიუცია წასულ წლის დასაწყისში! დღეს კი პირობები არსებითად შეიცვალა: ბრძოლის მძაფრმა ღუღუნმა გაბედულად გადმოლახა თავისი ბუნებრივი საზღვარი და რევოლიუციონური რუსეთი მოურიდებლად შემოიჭრა ახლო აღმოსავლეთის საზღვრებში და აქ აპირებს ახალი სიტყვის თქმას. დღესაც, როგორც წინედ, აქ შემოჭრილ რუსეთს ჩვენ, ქართველები, ვუწინჯავთ რევოლიუციონურ კიჟებს დაჟ ძმურად გულწრფელად, როგორც მეგობარნი რუსის ხალხისა და მის მიერ წარმოებულ რევოლიუციისა ვეუბნებით: ფთხილად, მეტის მეტად ფთხილად; რადგანაც აქ, საქართველოში, რამდენადაც სუსტი იყო სამხედრო ფრონტი, იმდენად ძლიერია

ე დაუნდობელი სოციალური და ეროვნული ფრონტები; მრავალ საუკუნოების განმავლობაში აქ დაგროვდა დიდი ღირსების სულიერი კულტურა იმისთანა სიმაღლისა და შეგნებისა, რომ თქვენ და სიფთხილე დაგჭირდებათ, რომ ნაღვლიანი ღიმილი არ გამოიწვიოთ და ზნეობრივ დამარცხებული უკან არ დაბრუნდეთ!

განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის დროს, რადგანაც ის აქ წყდება არა სიტყვითი არამედ საქმითი და მის საქმითი გადაწყვეტისას თქვენის მხრივ იღებს მონაწილეობას არა ერთი და ორი კონტრ-რევოლიუციონერი და პროვოკატორი იმ შეგნებით, რომ თუ რევოლიუცია აქ დამარცხდა ეროვნულ ფრონტზე, მისი დამარცხება აუცილებელია ყველა დანარჩენ ფრონტებზე... ეს ცდა კონტრრევოლიუციისა სრულიად ბუნებრივია. ის თვით რუსეთში სოციალურ ფრონტზე სასტიკად დამარცხებული აქ უკანასკნელად შეეცდება გამარჯვების მოპოებას და რევოლიუციის სვლის შებრუნებას და თუ ეს მან მოახერხა—ეს იქნება საშინელი უბედურება არა მარტო რუსეთისთვის, რომელმაც დიდი უანგარო მსხვერპლი გაიღო და კიდევ გაიღებს რევოლიუციის მაღალ მიზნებისათვის, არამედ მთელი კაცობრიობის საუკეთესო ნაწილისათვისაც!

დედა-მიწის ნაფენების თანდათანობითი შესწავლამ ჩვენ მოგვცა საშუალება გადაჭრით გამოვსთქვათ დღეს ის აზრი რომ ადამიანი თვით ბუნების წიაღიდან წარმოიშვა და ასე ამ ფერად განსაზღვრულ დროსა და პირობებში ნივთიერებამ შეგნება შეიძინა—გათვითცნობიერდა. ამ გათვითცნობიერებით იწყება ადამიანის სახით ბუნების სულიერ ცხოვრების ხანა.

ეს ცხოვრება სხვადასხვა დროს სხვა და სხვა პირობებში იშლება სხვა და სხვანაირად—განსაკუთრებით ენის ნაქუთებში—სიტყვას სახით. ის არის სრული აღნუსხვა ადამიანის ნაგრძნობისა, ნააზრევისა და ნამოქმედარისა—ერს ენის მეტი რომ არა დარჩეს რა, მაშინაც შეიძლება სიტყვათა ბგერითი შემადგენლობით და მათი საგნობრივი შინაარსით აღვადგინოთ როგორც მისი სულიერ ცხოვრების სრული ნაქუთები, აგრეთვე ის გარეშე ბუნება, რომლის წიაღშიდაც ის სცხოვრობდა და მოქმედებდა. ნაწილობრივ, მაგრამ ლამაზად, აქვს გამოთქმული ეს აზრი პოეტს, როდესაც ამბობს:

„ერის ცხოვრება,
მისი დიდება
მისი ისტორია დაცულ არს ენით“.

ამას ჩვენ დაუმატებთ და ვიტყვით:

„ბუნების სახეც
და სიდიადეც
თავისებურად ასახულ არს ენათ“.

ასე რომ ენაში ინახება სულიერი და ნივთიერი და რამდენადაც ეს ნასკვი ნავისებურია იმდენად დიდია ენის მსოფლიო ღირებულება და მაშას დამე იმ ერისაც, რომელიც სდგას ამ ენის განვითარების და დაც ის სადარაჯოზე!

ის სმენა, რომელმაც ფრინველის წიაქიდამ „წ“ ვერ გამოჰყო და ვერ აღბეჭდა უნდა ჩაითვალოს ჩლუნგად. ის სული, რომელმაც ბ ნებაში ვერ აღნიშნა „ყ“ და „ჯ“ არა მახვილია სმენით, მძიმეა. აი, ერთ-ერთი ქართული ენის თავისებური ნაქუთი—როგორც ბუნებას სარკისა! მაშასადამე ყოველი ენა, როგორც ბუნების გათვითცნობიერების თავისებური ნაქუთი—ფორმა უნდა იქმნეს დაცული და ამ დაცვა! პირველ რიგში, რასაკვირველია, უნდა ჩადგნენ ისინი, ვისაც შეუძლია, განურჩევლად ეროვნებისა, ქართულად სამსახური გაუწიოს კაცობრიობის კულტურულ მუშაობას—ქართული ენის მცოდნენი.

დღეს ერის საკითხი ენის საკითხია, რადგანაც ერის ფიზიკურად ძალით განადგურებაზე დღევანდელ კაცობრიობის განვითარების საფეხურზე ზედმეტი და უსაფუძვლო ლაყბობაა და, თუ ეს ეგრეა, ჩვენ ვიტყვით ერის უფლება თანამედროვე ხანაში ამავე დროს არის ენის უფლება, რის გამოც მოძველებული პოლიტიკური სიტყვის საქცევი: „საქართველო ქართველებისთვის“ ანუ უკანასკნელ ხანებში წამოყენებული ბუნდოვანი ეროვნული არსებობის ყალიბი: „საქართველო საქართველოსთვის“ უნდა შეიცვალოს უფრო გარკვეულ მარტივ

პოლიტიკურ ფორმულით: [illegible] ლო ქართულ [illegible] ბის ერთ-ერთ [illegible] მი[illegible]თვის [illegible] ბდეს საქართველოში კულტურული შემოქმედება როგორც პოლიტიკურ-ტეხნიკურ დარგში, აგრეთვე მეცნიერულ მხატვრულში.

ს. ჯიშკარიანი.

## „პოეზიის დღე“

(წერილი რედაქციის მიმართ.)

შინ გაზრდილმა ფილისტერებმა კიდევ იშოვეს დრო სალაპარაკოდ. მათი სამუდამო ნიშანი ყოველთვის „ცისფერი ყანწები“-ა. ჩვენ გვგონია, რომ არავისთვის არ მიგვიცია საბუთი ლაპარაკის, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ინერციით ფილისტერები არგუმენტებს არ საჭიროებენ.

ქართულ პრესაში თითქმის ყველა გაზეთებში დაიბეჭდა წერილები „პოეზიის დღის“ შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს გაზეთი გამოცემაა საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს! მთელი პასუხისმგებლობა უნდათ ჩვენზე გადმოიტანონ.

გასაკვირი არას რომ „ცისფერ ყანწებზე“ ყოველ მხრივ ირონიით მოდიან. გაზეთ, „სოც. ფედერალისტში“ ორი წერილი დაიბეჭდა „პოეზიის დღის“ შესახებ. იმის მაგიერ რომ ავტორები შეხებოდნენ გაზეთის მთელ შინაარსს თავიანთ წერილებს ანდომებენ დემაგოგიას ჩემსა და გრიგოლ რობაქიძის შესახებ. ეს წერილები ნამდვილი დასმენაა. პირველად ანტი კომუნისტურ საქართველოს წინ—მეორეთ კომუნისტების წინ. ამ წერილების მიზანია: ერთი მხრივ „ცისფერ ყანწები“-ს წინააღმდეგ ბრძოლ ესტეტიკის გარეშე პოლიტიკაში აწარმოვონ, მეორე მხრივ პატრიოტიზმი შეინახონ ჩვენი ლანძღვით და ასე ებრძოლონ კომუნისტებს.

ჩვენ საკუთარ ორგანოში გვექნება საშუალება ფაქტებით გაუსწორდეთ დამსმენელებს, მხოლოდ ეხლა საჭიროა ამის თქმა.

მე მეკუთვნის მეთაური „პოეზიის დღე“-ში. ეს მეთაური განმეორებაა იმ სტატიის, რომელიც შარშან ხელმოუწერლად დაიბეჭდა იმავე პოეზიის დღეში. უკანასკნელ მეთაურში ნათქვამია, რომ შეგნებულად არის განმეორებული. მე შარშანაც ისე ვსწერდი და დღესაც ვიმეორებ: „ახალი საქართველო და ახალ საქართველოს სახელით მომქმედი მებრძოლი პროლეტარიატი, რომელმაც თავის მაგარი ხერხემლით გამოიტანა საქართველოს თავისუფლება შექმნის ახალ პერიოდს ქართულ ხელოვნებაში და პოეზიაში“.

მე მგონია—ან სრულიად აზროვნებას მოკლებულია უნდა იყოს ადამიანი, ან დაგანზრახ ტორტი ნებისყოფით მოქმედებდეს, რომ ვერ გაიგოს ამ სიტყვების აზრი. მეორე წერილის ავტორი მე და გრ. რობაქიძეს გვეძახის გარსტროლიორებს საქართველოში, დროს დაკარგვა იქნებოდა ისეთ ავტორთან კამათი, რომელიც ამდენად მოკლებულია ლიტერატურულ სინდისს.

მაგრამ ორივე შემთხვევაში ავტორებს ალაპარაკებს პირადი ავადმყოფური თავმოყვარეობა „პოეზიის დღის“ სარედაქციო კოლეგიისადმი, მაგრამ ამ მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ სარედაქციო კოლეგიაში ოთხ კაცში მე ერთი ვიყავი ისე რომ პრინციპიალურად არ შემეძლო გადამწყვეტი როლი მეთამაშა, აგრეთვე მწერალთა კავშირის საბჭოში რომელიც ცამეტ კაცისაგან შესდგება „ცისფერი ყანწებიდან“ მარტო მე და პაოლო იაშვილი ვართ, და როგორ შეეძლო ორ კაცს ცამეტი კაცის წინააღმდეგ წასვლა.

თუ „პოეზიის დღის“ ბევრი ლექსი „ცისფერ ყანწელების“ გავლენით არის დაწერილი, ბრმებიც უნდა მიხვდენ, რომ ამ ნიშნით მოდის დღეს მთელი ქართული პოეზია და უნიჭო მწერლები, რომლებიც თვალებს იბრმავებენ ამაზე მხოლოდ თავიანთ თავს ატყუებდენ. რაც შეეხება ჩემ ლექსს „პოეზიის დღეში“ ეს იყო თარგმანი ლაფორგის იუცოლოსი“. მართალია ბევრმა ჰქვიანმა კრიტიკოსმა ის ჩემ ლექსად მიიღო და გაუგებარ ლექსადაც გამოაცხადა, მაგრამ აშკარაა, რა ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს ის ხალხი რომელიც

ასე იოლად იცნობენ პოეზიას. ასეთი კურიოზი დაასამარებდა სხვა ქვეყანაში კრიტიკოსს, მაგრამ ჩვენში მარტო კურიოზის კურიოზები სწერენ პოეზიაზე.

„პოეზიის დღის" საყვედური იყო გაზეთ „კომუნისტში"-ც, იქ გვარები არ იყო დასახელებული, ამიტომ უპასუხოთ უნდა დარჩეს ჩემგან, მხოლოდ ერთი განცხადებით ჩვენ შეგნებას პოეზიისას ვერ გამოცვლის ვერაფერი, ჩვენ გვწამს პოეზია, როგორც თვით მიზანი და ასეთი დარჩება ბოლომდე ჩვენი რწმენა.

რაც შეეხება „ახალ სხივის" მეპრესეს, რომელიც ამდენ ნაღველს აქცევს ასე უბრალოთ, უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ლიტერატურულად არას დროს არ უწევდით ანგარიშს „სალივის" მოტრფიალე ფილისტერებს, მხოლოდ გამოყვყვნეულ ასეთ მეპრესეს შეუძლია საქართველო თავის მონოპოლიად გადააქციოს.

ჩვენ პატრიოტიზმი და ჩვენი პოეზიის შეგნება უძლო დიდ სამსჯავროს ელის დ დაკარგული „პატრიოტები" კარგი იქნებოდა კამათს ჩამოეხსნებოდენ, რადგან ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს ამ ფილისტერების ისტორიის მოყოლის.

დღეს საზოგადოთ ბევრი იჩემებს პატრიოტიზმს, ეს მანტია ეხლა კარგი გამოდგა ზოგიერთის ფილისტერებისათვის, რომელნიც წინეთ სხვანაირათ მღეროდენ; ზოგიერთი სახელ გახუნებული მგოსნებიც ჩაეწერენ ამ არმიაში, მაგრამ რამდენათ ეთანხმება სიტყვა მოქმედებას და საქმეს, ამისთვის ჩვენ საკმაო მასალები გვაქვს შეგროვილი და ერთიანათ გაუსწორდებით ტარასკონელებსა.

ჩვენ ავათმყოფ ძალლივით მთვარეს არ ვუყეფთ. ჩვენ არ ვწერთ წერილებს ლენინს და ნაპოლეონს, რადგან აქ ადვილად შეიძლება პატენტის მიღება როგორც პატრიოტის, ისე საგიჟეთის. ჩვენი გზა შემოქმედების სხვანაირია, ჩვენი პატრიოტიზმიც და ხოეზიაც ფილისტერებზე არა არის განზრახული და გაზომილი, ამ ფილისტერების თავების ზევით ვლაპარაკებით საქართველოს მარადიულ სულს. დეე სხვამ გაიხადოს საქართველოს სიყვარული ექსპლოატაციის საგნათ. ჩვენ ისტორიას დაუტოვებთ ზოგიერთ იძულებით საბუთებს ფილისტერების მოჩვენებით პატრიოტიზმისას.

მართ ჭ ლია დღეს ბრძოლის საგნათ ბევ ძა „ცისფერი ყანწებში" ამოირჩიეს მაგრამ ყოველი ასეთი გამოსვლა ზედმეტ სირცხვილით გააწითლებს შემდეგ თაობას ამ ფილისტეროებისთვის. ეს ჩემი პირადი პასუხი ზოგ რამეზე მე მგონია მწერალთა კავშირის საბჭომაც უნდა გასცეს პასუხი გათამამებულ ცილისმწამებლებს.

ტიციან ტაბიძე.

## ახალი ამბები.

— დღეს ივლისის 5 საღამოს 6 საათზე სტუდენტთა სასადილოში დანიშნულია სტუდენტთა კავშირის გამგეობის არაჩვეულებრივი კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.

— **ქართული დრამა.** დღეს, ივლისის 5-ს, სახელმწიფო დრამის თეატრში მეორედ და უკანასკნელად წარმოდგენილ იქნება „გადაქრილი მუხა" დრ. 4 მოქ. ვალ. შალიკაშვილისა. პიესას სდგამს რეჟისორი კონ. ანდრონიკაშვილი. მონაწილეობს მთელი დასი. ბილეთები იყიდება კასაში. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

— **ჟურნალი ხელოვნება.** გამოვიდა სახალხო კომისარიატის ორკვირეული ჟურნალის „ხელოვნების № 2. შემდეგი შინაარსით: მოზაიკები—კონსტანტინე გამსახურდიასი, პოეზიის წარმოშვება—აბრამიშვილის, დედა და შვილი—თურდოსპირელის, ამხანაგო—გარკის (ახნაზაროვის თარგმანი), აქვე მოთავსებულია ვ. როხაძის და ოზილი მუშის ლექსები. აკ. ფაღავას სათეატრო—წერილი.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

**ამხ. შალვა ნუცუბიძეს.** საქ. სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სამტრედიის ორგანიზაციამ, ივნისის კრებაზე, მოისმინა რა თქვენი განცხადება გაზეთში პარტიიდან გასვლის შესახებ, ითვალისწინებს, რომ თქვენი მოღვაწეობა პარტიაში იყო ნაყოფიერი და შეუთანხმებელი გეზის შეტანი ყველა კონფერენციებზე და თქვენი პარტიიდან წასვლა არ მომხდარა პრინციპიალური ნიადაგზე უთანხმოებით, ორგანიზაცია გთხოვთ თქვენ განაგრძოთ ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებდით ამდენ ხანს ე. ი. პარტიის მთლიანობის აღსადგენად, მომავალ კონფერენციამდე, რომელიც ჩვენის აზრით უნდა მოხდეს ახლო მომავალში.

---

საქ. სოც. ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის სამტრედიის ორგანიზაციამ, ივნისის კრებაზე, მოისმინა რა მოხსენება მე 6 კონფერენციის მუშაობის შესახებ დაადგინა. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია მომენტის შესახებ იქმნეს სახელმძღვანელოთ ორგანიზაციის მომავალი მუშაობისთვის; რაც შეეხება მოქმედების საკითხს ორგანიზაცია ფიქრობს, რომ ეს საკითხი კონფერენციაზე სათანადოთ არ იყო გარკვეული და მის ირგვლივ კამათიც არ ყოფილა, რისთვისაც კონფერენციამ ვერ შესძლო გამოემუშავებია პარტიის მომავალი სამოქმედო გეზი; აგრეთვე დელეგატების არჩევნები არ მომხდარა კანონიერის გზით, ვინაიდან წევრთა რეგისტრაცია თითქმის არსად მომხდარა, კონფერენცია წინასწარ შემზადებული იყო და ამის მიზეზის გამო კონფერენციაზე მოხდა პარტიის განხეთქილება, რაც შესაძლებელი იყო არ მომხდარიყო. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზების გამო ორგანიზაცია სურვილს გამოთქვამს, მოხდენილ იქმნეს პარტიულ ამხანაგების ხელ-ახალი რეგისტრაცია და ამის შემდეგ მოწვეულ იქმნეს კონფერენცია.

კრების თავმჯდომარე პრ. გელეიშვილი.

## რადიო

**დადგება დღე განკითხვისა**

**მოსკოვი.** ივნისის 27. გერმანელმა კომუნისტმა ჰელცმა, მოისმინა რა სასამართლოს განაჩენი სთქვა: „სულ მალე დადგება დრო თავისუფლებისა და პროლეტარულ შურის-ძიებისა, მაშინ კი ჩვენ ვიქნებით მოსამართლეებად. დამშვიდებით შეგიძლიათ გამოიტანოთ სიკვდილის განაჩენი. თქვენ გაასამართლებთ ჰელცს, მაგრამ იდეას კი ვერა. ერთი ჰელცის მაგიერათ ადგება ათასი სხვა და დაამსხვრევენ მოწინააღმდეგეთ. გერმანიის მიმდინარე რევოლიუცია თავის სიმკაცრით გადააჭარბებს ყველა წინანდელ რევოლიუციებს, არა იმიტომ, რომ პროლეტარიატი მკაცრია, არამედ იმიტომ, რომ ბურჟუაზია ეხლა დიდ სისასტიკეს იჩენს.

ბერლინში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია. ის მიმართული იყო ჰელცის სიკვდილით დასჯის შესახებ გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ.

**შავრაზმელთა ახალი ბუდე**

**რიგა.** ივნისის 23. პარიზში არჩეულია ეროვნულ-კომიტეტის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარეთ—კარტაშევი, მის ამხანაგად ბურცევი, წევრებად—დოლგორუკი კუზმინ-კარავაევი, სლიზბერგი, ტესლენკო, ფედოროვი და სმირნოვი. კომიტეტმა ვლადივასტოკის მანდატი მერკულოვს მიულოცა შორეულ აღმოსავლეთის განაპირის განთავისუფლება.

**პატარა მტაცებლები ხარბავენ დიდების მაგალითს.**

**რიგა.** 3-6 რუმინეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის დადებულ ხელშეკრულობის გამო საბოლოოთ შესდგა მცირე ანტანტა, რომლის შემადგენლობაში შედიან პოლონეთი, სამხრეთ-სლავია, ჩეხო-სლოვაკია და რუმინეთი. განზრახულია ბალკანეთზედაც გავრცელდეს ამ მცირე ანტანტის გავლენა.

**კარგი გაკვეთილი სოციალ-შეთანხმებელთ.**

**ბერლინი.** 22—6 რომის პარლამენტში დიდი შეტაკება მოხდა ფაშისტებსა და სოციალისტების შორის, ხელ-ჩართულ შეტაკებამდე მივიდა საქმე. შრომის მინისტრ სოციალ-შეთანხმებელმა ლაბრიოლამ სცადა საქმეში ჩარევა. მაგრამ იგი შეაჩერა პრემიერმა ჯოლიტიმ. ლაბრიოლამ თანამდებობიდან განთავისუფლების ქაღალდი შეიტანა და მეტათ აღელვებულმა დასტოვა დარბაზი.

**განხეთქილება ლატვიის სოციალ დემოკრატებს შორის.**

**რიგა.** 23—6 ლატვიის სოც.-დემოკრატი პარტიის ცენტრ. კომიტეტმა მოწოდება გამოსცა განხეთქილების გამო, რაიცა გამოიწვია მემარჯვენეებმა. ცენტ. კომიტეტმა პარტიიდან დაითხოვა დამფუძნებელი კრების 14 წევრი და სამი მინისტრი. ცენტრ. კომიტეტი სწყვეტს ყოველგვარ დამოკიდებულებას პარტიის მემარჯვენე ფრთასთან.

**მხოლოდ მტაცებლებს ცუდათ მიხდით საქმე.**

**ლონდონი.** 20—6. კილიკიაში (მცირე აზია) დაბანაკებულია ქემალისტების 30 ათასი ჯარის ნაწ. ჯარი მზათაა ფრანგების წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

**ლონდონი.** 20—6 (რადიო). სრულიად ინდოეთის ყრილობის კომიტეტი მოუწოდებს ინდოელ ჯარის-კაცებს, რათა ისინი არ დაეხმარონ ინგლისს იმ შემთხვევაში, თუ მან ომი დაიწყო ოსმალო-ნაციონალისტების წინააღმდეგ.

**ლატვიის მუშების გაფიცვა.**

**რიგა,** 23—6 იტალიის ტუმ... ქარხანაში და კალნის ხე-ტყის ქარხანაში გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

**საერთაშორისო სავაჭრო.**

**ბერლინი.** რეიხსტაგის პრეზიდენტმა განაცხადა პრესის წარმომადგენლებთან: რუსეთთან საქონლის გაცვლის დაწყებამ და რუსეთის ხალხისათვის. პირველ საჭიროებისათვის საგნების მიწოდება კვლავ ჩაითრევს რუსეთს საერთაშორისო ვაჭრობაში: ჩვენ არ შეგვიძლიან და არც უნდა ჩავერიოთ რუსეთის საქმეში. ჩვენ კავშირს დავიჭერთ ყოველგვარ მთავრობასთან, რომელიც ნამდვილად განახორციელებს ფაქტიურ ხელისუფლებას.

**ინგლისი და პოლონეთი.**

**ჰანოვერი.** (ამერიკ. რადიო). ამერიკული პრესა იუწყება, რომ ინგლისი ზემო სილეზიაში მოელის ახალ ჯარებს, ტანკებს და ჰაეროპლანებს, რომ პოლონეთის წინააღმდეგ გამოვიდეს, თუ კი ფრანგები განაგრძობენ მოკავშირეთა ზომების წინააღმდეგ სპორტს. ზომები მიღებულია პოლონელების წინააღმდეგ რათა მათ დასტოვონ ხელში ჩაგდებული ადგილები. პოლონელები ძალიან გაჯავრებული არიან ინგლისელების წინააღმდეგ.

**ვარშავა.** პოლონური გაზეთი „მუზა" სწერს: „გაბრაზებული გამოლაშქრება ლოიდ ჯორჯის პოლონეთის და საფრანგეთის წინააღმდეგ მოასწავებელია ანტანტის შიგნით დამოკიდებულების გადატეხილობის. ანტანტის ლიკვიდაციის დაწყებამდე ერთი ნაბიჯია. ლოიდ-ჯორჯის სიტყვა ახალ პოლიტიკის შესახებ მოასწავებელია გერმანიასთან და რუსეთთან ფაქტიურად მეგობრული დამოკიდებულების დამყარების. ლოიდ-ჯორჯის ამ მიკერძების მსხვერპლი კი უნდა იქნეს პოლონეთი".

**საქონელი საქართველოსთვის.**

**კონსტანტინოპოლი.** 22.6. საქართველოს რევკომის სახელზე ტფილისში იტალიის სამეფო წარმომადგენელ ფრაზოლის საშუალებით შემდეგი დეპეშაა გამოგზავნილი ა. თ. 18-ს გემი „რეშიდ-ფაშა" გამოვიდა ჩვენ ნავთსადგურიდან ბათომისაკენ რუს ლტოლვილებით ამხ. სერებროვსკის განკარგულების თანახმად. ფრანგების ხელისუფლები კონსტანტინოპოლში თხოულობენ ნება მისცენ ფრანგებს საქართველოდან წასვლისა. მე გთხოვთ თქვენ გააკეთოთ ყველაფერი, რომ „საჩქარო" წესით და ყოველივე დაბრკოლების გარეშე გამოგზავნოთ ისინი გემ „რეშიდ-ფაშათი"

დღეს გემმა „აგენტიო" მანუფაქტურით და ფეხსაცმელებით დატვირთულ საგარეო ვაჭრობისათვის, დასტოვა ჩვენი ნავთსადგური, გაემართა ბათომში. ჩვენ ვტვირთავთ 30,000 ფუთ ფქვილს და სხვა საქონელს საგარეო ვაჭრობისაგან. გემ. „სპარსეთზე", რომელიც გამოიგზავნება სტამბოლიდან ამა თვის 23 ს. სამი დღის განმავლობაში გემი „დორიდია" გამოიგზავნება ფქვილით და შაქრით დატვირთული ნავთის კომიტეტისთვის. ჩემ მიერ დადებულია ხელ-შეკრულება და ერთ კვირაში გამოვა ბათომში დიდი გემი საქონლით 200,000 ფუთამდე, უმთავრესად ფქვილი და შაქარია ელიზბლომით საჩქაროდ ზომებს სიმინდის გამოსაგზავნათ. გაეცით საწრაფო განკარგულება ბათომში ნავთის ნაწარმოების, ხიზილალის და აზერბეიჯანის აბრეშუმის დამზადების შესახებ, რათა არ დაგვრჩეს დიდ ხანს გემები ბათომ ში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმას გადახდა მოგვიხდება მოლიბაძე.

**გერმანიის ჰაეროპლანების სეკვესტრი.**

**ნაუენი,** 23-6. ელჩთა კონფერენციამ მოითხოვა გერმანიისაგან ყველა ჰაეროპლანების სეკვესტრი, რომელიც გამოუშვეს ქარხნიდან ბულონის კონფერენციის შემდეგ. ანტანტა მოითხოვს ყველა ჰაეროპლანების გადაცემას, რომლებიც კი ომის დროს გამოდგება.

## ეკონომიური ცხოვრება

ს. მ. ფ. ს. თამბაქოს მრეწველობის ქვე-განყოფილებამ გადასწყვიტა თამბაქოს ქარხნების მომარაგება, რომელნიც არ არიან სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადებულნი, უნდა ხდებოდეს ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებას იმუშავებენ ამ ქარხნების პატრონნი მეთამბაქოეთა კავშირის, თამბაქოს მრეწველობის განყოფილების და მომარაგების საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად.

**საქარხნო მმართველობის სისტემა თამბაქოს ქარხნებში**

თამბაქოს მრეწველობის განყოფილებამ სასარგებლოდ მიაჩნია ერთპიროვან მმართველობის პრინციპი, მაგრამ გაუწია რა ანგარიში დღევანდელ პოლიტიკურ მომენტს, დაადგინა კოლეგიალური მმართველობა შემდეგი სახით; გაეროვნებულ ქარხნებში უნდა დაარსდეს კოლეგია—კონპარტიის წარმომადგენლისაგან თავმჯდომარეთ ეკონომიურ განყოფილების წარმომადგენლისაგან—საქარხნო კომიტეტის წევრთა რიცხვიდან და თამბაქოს მრეწველობის სპეციალისტ წარმომადგენლისაგან.

ეს კოლეგია თავმჯდომარის სახით პასუხის მგებელია ქარხნის მდგომარეობის და წარმოების საქმეში. გამოურთ მეველ ქარხნებისათვის, სასურველათ არის ცნობილი პოლიტიკურ და ეკონომიურ კონტროლის შემოღება.

## მგზავრის შთაბეჭდილებანი

**რუსეთისაკენ.**

ეს პირველი დელეგაცია, რომელიც საქართველოს მუშათა სახელით მიემგზავრება რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობაზე. 4 მაისს დილის თერთმეტ საათზე უკვე მატარებელში ვართ და ჩვენ ერთი თვის განმავლობაში საცხოვრებელ ბინაში ვეწყობით. ვგრძნობ, რომ ხანგრძლივია ჩვენი დაშორება, საკმაო დროს განმავლობაში ვერ ვიხილავთ მწვანეთ შემოსილს ტფილისს სამშობლოს. ჩვენს კუპეში ნაკლებად არიან ისეთნი, რომლებსაც შეუძლიათ განიცადონ რას ნიშნავს ჩვენთვის მშობელ ქვეყნიდან თუნდაც დროებით გარდახვეწა, ყოფნა მისი ყოველდღიური ცხოვრების გარეშე... მესამე ზარი და დავშორდით ტფილისს. პირველად მოლოდინს გადააჭარბა ჩვენმა მატარებელმა, გაჩქარებული ტემპით დაიძრა, მაგრამ სულ მალე დადინჯდა, უქლო სიჩქარეს და ნელა თან და თანობით, კუს ნაბიჯით შეუდგა „მიზნებისაკენ სრბოლას.

მოგონებათა ზღვა გადაშალა მძიმედ მიმოვალმა მატარებელმა. სულ რამდენიმე თვის წინად ჩვენს წინ იშლებოდა კუშ ტლიალი მუხრანი, ხრამი, კაჩრეთი, წითელი ხიდი. აქ გუგუნებდა ქართული სიმღერა, იარაღის ჩხარუნი, ფაცა-ფუცი ჩვენი ხალხისა. აქ ჩვენ ვხედავდით ჩვენი ხალხის შვილებს: ქალებს—მოწყალე დებს, სტუდენტებს, ახალგაზდებს, კიდევ უფრო ზურგში კი დამფუძნებელ კრების შემრცხვენელ ბენია ჩხიკვიშვილის და მის მუდმივ თანამგზავრთ—კედიას და ფაჩულიას, ეხლა მისავე გმირებს სტამბოლში. იგი ხელთათმანებში ავტომობილით „მობრძანდა" ალბად შინაურ ფრონტის გასამაგრებლად!..

ისევ ვივიწყებ ჩვენი ისტორიის ამ სამარცხვინო ფურცელს...

— ბგერ ფილოლე.

ანაფურთქები ხიდი. რკინების ნამტვრევები ჯერაც მიყრილ-მოყრილია. მატარებელი ფორთხვით გადის. ჩემს გვერდით ღვანან კომუნისტები [illegible] ივლიან, რომ [illegible] ლიომბ [illegible] რომ მათ [illegible] ველ ტყვეებსაც. ამ ხიდისთვის მათ დაურქმევიათ ლენინის სახელი.

მალე გადავედით აზერბეიჯანის სოციალისტურ რესპუბლიკაში. ყოველგან სადგურებზე რუსეთის წითელ-არმიელები არიან. ჩიხში ჩაყენებულ ვაგონებიდან გამოიცქირებიან არმიელთა თანამგზავრნი რუსის ქალები. თუ გამოჩნდება ადგილობრივი მცხოვრებნი უფრო ხშირად ყველით რძით, პურით მოვაჭრე ან და ხურჯინით ზურგში სავაჭროთ მიეშურებიან, მატარებელში ჩაჯდომა პირდაპირ მიუწვდომელია მგზავრებისათვის. ამის გამო გესმით დაუსრულებელი პროტესტები. ადგილობრივი თათრები ყველას ეძრიჯებიან, ელაქუცებიან, ანგარიშის გაუწევლად მასზე არის დამოკიდებული თუ არა მატარებლით გამგზავრება, განსაკუთრებით კაპასობენ და პრეტენზიებით ლაპარაკობენ წითელ არმიელების ცოლები: „მაშ რად იბრძვიან ჩვენი ქმრები"?—წარამარა გაიგონებთ მათგან.

უმთავრესად მოძრაობაში არის სამგზავრო ქართული ვაგონები, სადგურებზე წარწერა თათრულ-რუსულია. მოზრდილ სადგურებში, მოწყობილია საგიტაციო პუნქტები წარწერით და კომუნისტური პარტიის ლიდერების სურათებით. აქა იქ ვხვდებით ნარიმანოვის სურათს: ჩავედით ბაქოში. ამ რევოლიუციონურ პროლეტარიატის ერთ-ერთ მთავარ ცენტრში. უნდა გვენახა მთელი გამოხატულება და საუკეთესო ნიმუში კომუნისტური აღმშენებლობისა აღმოსავლეთში.., თუ ჩასულმა უცხო პირმა გაზეთ-წიგნებით არ იცის, რომ არსებობს აზერბეიჯანის რესპუბლიკა, ის ვერ იპოვის ისეთ ეროვნულ ნიშნებს, რომლებიც მისთვის ნათელყოფენ, რომ აქ დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. ის უფრო წააგავს წმინდა რუსულ ქალაქს ვიდრე აზერბეიჯანის სატახტო ქალაქს. ყველგან ბალტიის ზღვის მატროსები, ხელზე მოვაჭრე რუსის ქალები, წითელ-არმიელები და მათი მხიარული სიმღერები. პური ტფილისთან შედარებით იაფია. კერძო წვრილი სავაჭროები მრავლად მოიპოვება ქალაქში, შიგ ბევრი გალანტერეებული საქონელია ქართული ბანდეროლით. აბანოები თითქმის ყველა მოქმედობს: მოქალაქეს შეუძლია შევიდეს მხოლოდ 50 წუთით და ისიც სამ კაცს ერთად თუ გინდ გადამთიელი იყოს ერთმანეთში შენთან შემოაბრძანებენ. აბანოს სარგებლობა ღირდა 80 მან. სადგურში თქვენს ყურადღებას იპყრობს მრავალი დამტვრეული ან სრულებით განადგურებული ორთქლმავლები.

ჩვენ როგორც საქართველოს სოც. რესპუბლიკის მუშების წარმომადგენელი წავედით დასასწრებლათ სრულიად აზერბეიჯანის საბჭოების ყრილობაზე, რომელიც გაიხსნა 6 მაისს.

მიუხედავათ იმისა, რომ სახელმწიფო თეატრს ჯარის კაცების რკალი აქვს შემორტყმული, ხალხი აყვარებული მისულა კარებთან დარბაზში უშვებენ მხოლოდ კომპარტიის წევრებს. თეატრის წინ ქუჩაში გამწკრივებულია რუსულ-მუსულმანური ლაშქრობა. ჩვენ როგორც იქმნა გავარღვიეთ კარებთან შეჯგუფებული ხალხი დ ავედით სცენაზე. კრებას ხელმძღვანელობდა ნარიმანოვი. მის გარშემო შემოკრებილიყო თითქმის ყველა აზერბეიჯანელი კომუნისტები და მთავრობის წევრები.

აქვე სხედან საქართველოს წარმომადგენელი მამია ორახელაშვილი, ლორთქიფანიძე, სომხეთის, ბექზადიანი, ლეგრანი ანგორიდან და სხვები. ასარჩევია პრეზიდიუმი, ამ საკითხისა შესახებ მწვავე კამათი და ნერვიულობაა. გასაოცარია. თითქმის ყველა ერთი პარტიის მიმდევრები და ასეთი განგაში პრეზიდიუმის გარშემო. ცეკას წამოყენებულ კანდიდატებს, თვით ზოგიერთი ცეკას წევრები არ აძლევენ ხმას.

ერთი მოვლენა იპყრობს თქვენს ყურადღებას. როგორც რუსეთში აგრეთვე ბაქოში და დღეს საქართველოშიაც ხედებით მოდგაწე სოხზეს და ებრაელებს, მაგრამ რაღაც მოსაზრებით ისინი ნამდვილ გვარს არ აცხადებენ. კრებაზე ამბობენ: ამხ. სარქისი, არტემი, ვირაბი რუბენი და სხვა.

ამ ყრილობაზედაც პრეზიდიუმში დასახელებულია ვიდაც სარქისი მის გარეშემო ატყდა ალიაქოთი. ერთი ნაწილი, თითქმის უმრავლესობა არ უწევს ხელს, ზოგიერთ ცეკას წევრებთან ერთად. ისიც ამოდის სცენაზე მომხრენი და თვითონ ლელავენ მაგრამ სკანდალის შიშით თავმჯდომარე სიტყვას არ აძლევს.

სერგო ორჯონიკიძე და სხვები რეკომენდაციული ხასიათის სიტყვით იცავენ ამხ. სარქისის კანდიდატურას. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ხმის უმრავლესობით სარქისის არჩეულია პრეზიდიუმში შიუხედავად იმისა, რომ პროვინციიდან ჩამოსული მუსულმანური გლეხობა მისი წინააღმდეგია. ბევრი მისალმებანი. ყველანი აღმოსავლეთის დიდ მოძრაობას აქცევენ ყურადღებას. რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელი ბ. ლეგრანი, თავის სიტყვაში ხაზს უსვამს კავკასიის მნიშვნელობას. მის ტვინში მხოლოდ მთლიანი კავკასიას დაუჭერია ადგილი. რესპუბლიკები, როგორც რეალი მოვლენა, მის ნათქვამიდან სა-სხვათაშორისო. საქართველოს ს. რ. სახელით ესალმება მამია. სანამ ის სიტყვას დაიწყებდა წამოდგა სამხედრო კომისარი კარევი და დაიძახა: „გაუმარჯოს საბჭოთა სოც. საქართველოს." მას ეხმაურებიან დანარჩენი დელეგატები და ტაშის ცემის შემდეგ საქ. რევკომის . წევრი თავის სიტყვაში დიდხანს ჩერდება . საერთო ინტერესებზე, კავშირის მნიშვნელობაზე შემდეგ ის გარკვეულად ამბობს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის საკითხი გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს. დასასრულ ის და ლოლობერიძე ულოცავენ ნარიმანოვს უზარმაზარ წითელ დროშას ტფილისის მუშათა სახელით, ბაქოს პროლეტარიატს. ეს ალტაცებას იწვევს დამსწრეთა შორის და როყვება ხანგრძლივი ტაშის ცემა... ასეთ ხვდებიან სომხეთის წარმომადგენლებს მეკზადიანს.

ბაქოს ქუჩებზე ხშირათ შეხვდებით აფურინილ მარგალიტებს, რომელნიც ლოსიქვამენ საქართველოს მიძინებაზე, რევოლიუციონურ ფრონტიდან დეზერტირობაზე:

Она лишь спит и скоро проснется „Грузия скоро станет советской..

ტყუობა „რუბიკონის გადასვლის" მაძზადისში კედლებიც კი პროპაგანდას უწოდეს საქართველოს სოვეტიზაციის დასარგებლოდ.

(შემდეგი იქნება)

მუშ. დელეგ. წევრი მ. ტუღუში.

## კომინტერნის მე-3 კონგრესი

მოსკოვი. 26-6 მოწოდება გერმანიის პროლეტარიატისადმი. ივნისის 25 სხდომაზე კონგრესმა გერმანელ რევოლიუციონერ მაქს ჰელცის დატუსადების გამო გადასწყვიტა მიმართოს გერმანელ პროლეტარიატს შემდეგი მოწოდებით:

„იმ ორი ათას წელს, რომელიც გერმანიის ბურჟუაზიამ გადაუწყვიტა მარტის დღეებში ძებრძოლთ ციხეებსა და კატორღის სახლებში დატუსადებით, იმ დღეს ძიუმატა გენაჩენი მაქს ჰელცის მესახე-, რომელსაც უვადო დამატიძრებით გადაუწყვიტეს. კომუნისტური ინტერნაციონალი საზოგადოთ წინააღმდეგია კერძო ტერორისა და მოქმედების ავანტიურისა, რომელსაც არ ემსახურება უშუალოდ სამოქალაქო მიზნებს, პარტიზანიზმის წინააღმდეგ, რომელიც სწორთულებს რევოლიუციონური პროლეტარიატის პოლიტიკურ ხელმძღვანელობის დაცეცხლება/მოუკიდებლად. მაგრამ ამასთან ერთად კომუნისტური ინტერნაციონალი მაქს ჰელცში უყურებს ძვირფას მებრძოლს, რომელიც შეებრძოლა კაპიტალისტურ ყოვლისმოიდებას, რომლის წესებიც ძდგომარეობს გამასწოროებელ სახლებში, წესიერება კი თეთრ ტერორში. მაქს ჰელცის მოქმედება არ იყო მიზანშეწონილი, თეთრი ტერორის ლიმიტი შეიძლება მხოლოდ მუშათა მასიური აჯანყებით, რომელიც შესძლებს პროლეტარიატის საფუძვლებათა უზრუნველ-ყოფას. მაქს ჰელცის მოქმედება უკანონოდ. ყოველ პროლეტარიატს ზოგ ქვეზაისადმი სიყვარულის. ამიტომ კონგრესი უგზავნის მაქს ჰელცს თავის ძმურ სალამს, აცხადებს გერმანელ პროლეტარიატს მის დაცვას და იმედოვნებს, რომ იმ დღეს, როდესაც გერმანელი პროლეტარიატი მისი ციხის კარებს გახსნის შესძლებს, მაქს ჰელცი გერმანულ კომუნისტურ პარტიათა რიგებში გერმანელ მუშათა განსათავისუფლებლად იბრძოლებს.

## ეკონომიური ქრონიკა.

**სარწყავი არხები.** ქუთაისის სახალხო-მეურნეობის საბჭოს, ჰიდრო-ტეხნიკური სექციის მუშაობა სწარმოებს ძლიერ ინტენსიურათ. მათხოჯში სარწყავი არხის გაყვანის გამოკვლევასთან ერთად დაიწყო მუშაობა მდინარე ცხენის წყალის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლად. ეს მუშაობა სწარმოებს სასწრაფოთ, რადგან ცოტაოდენი დაყოვნებაც კი უქადდა არა მარტო ლეჩხუმის გზის გაფუჭებას, არამედ ჯებირების წალეკვასაც. ჰიდრო-ტეხნიკური სექციის გამგის ინჟინერ ფალკოვიჩის ინიციატივით უფრო საშიშ ადგილებზე გაკეთებულ იქნა წყლის უკუმქცევი წნელის დამბები და მთელი რიგი გოდორუჯრებისა ორ მთავარ დამბის შენება უკვე დამთავრდა და ეხლა სწარმოებს სასწრაფო მუშაობა უკანასკნელ მესამედობის და გოდორუჯრების დამთავრებისთვის. ჰიდრო-ტეხნიკურმა სექციამ დაიწყო მუშაობა კულაშ-დანირის სარწყავი არხის შესაკეთებლად, რომელიც აშენებული იყო ცუდი მეთვალყურეობით, რის გამოც ბევრს ადგილას სარწყავი ქსელი გაფუჭდა. რომ განზრახულ 1800 დესეტინის ნაცვლად ირწყვებოდა მხოლოთ ამის ნახევარი. ამ ჟამათ ზოგიერთ ადგილებში შეაკეთეს არხი, რამაც სარწყავი მიწების სივრცე გაადიდა 500 დესეტინით. საერთოთ შესრულებულ იქნება 750 კუბ. საჟ. მიწის სამუშაო. უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობა სწარმოებდა და სწარმოებს შრომის ნატურალურ ბეგრის საფუძველზე არხს გაადიდებენ 52 ვერსით.

ეხლა რიგში სდგას ქვიტირ-მადლაკფარცხანა ყანების მიწების მორწყვის პროექტი. ამ დღეებში ინჟინერების სპეციალური კომისია საბოლოოდ გამოიმუშავებს არხის ხაზს.

**ხე-ტყის დამზადება.** სახალხო მეურნეობის საბჭოს ქუთაისის გუბერნიის სატყეო განყოფილებამ ხე-ტყის დამზადებაში გამოიჩინა საკმაოდ ენერგია. რაჭის რაიონში მოქმედება დაიწყო საქციონერო საზოგადოებამ „მრეწველობა". ქუთაისში ჩასატანად დამზადებულია 4000 მორი. მორებს ჩაიტანენ ქუთაისში 1 ნოემბრამდე აჯამეთის რაიონში რკინის გზის ხაზზე გაიტანეს 300 საჟენი შეშა, 600 ბოძი, 3500 შპალი და 3000 არშინი მაგარი ჯიშის კოჯებისა. ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზით გაიტანეს 300 საჟენი მორი, 3000 არშინი მაგარი ჯიშის კოჯები. ფოთის რაიონში დაამზადეს და გაიტანეს ბარჟებით 600 კ. ს. 5000 არშინი მაგარი და რბილ ჯიშის კოჯები ხუთის რაიონში დამზადებულია 700 ფუთი ბზის ხე და 5000 არშინი კოჯები. წაბლარი ხევის რაიონში გასატანად დამზადებულია 134000 კუბ. არშ. კოჯები, ამ რაოდენობიდან ფაბრიკაში გაიტანეს 40000 კუბ. ვერშ. დამზადებულია აგრეთვე 3000 არშინი სამშენებლო მასალა და 7000 დასაწვეთქი ხე.

## თეატრი და ხელოვნება

ზაფხულის ივლისის 2, ქართულ დრამის თეატრში წარმოდგენილი იყო „გადაჭრილი მუხა" დრ. 4 მოქ ვ. მაღლაკელიძის. უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ამ ბოლო დროს ქართული წარმოდგენები მეტად სუსტად მიდიოდა. მაგ. „ოტელლო", „ყაჩაღები" და რამდენიმე „პატარა კახიც". ამ მხრით „გადაჭრილი მუხა" გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს.

1-ლი მოქმედება მშვენიერად იყო დადგმული. მონაწილენი ყველა თავის ადგილზედ იყო. საუცხოვოდ იყო შერჩეული თითოეული სახიობის ტიპი. აბა დახედეთ მოურავს (გამყრელიძეს) როგორი იჯახური ძა. მკივნეულისა და მზრუნველობის კაცია, დააკვირდით საქმეს (გ. ჩერქეზიშვილის) როგორი წყევით მიმართავს მსახურთ და თავის „ვარიებს" უმზადებს მის გაზრდილ ნიკოს. შედარებით პატარა როლებიც საუცხოვოდ იყო შესრულებული, მაგ. მიხა (მ. ქიაურელი) როგორი ბუნებრივი ტემპით ლაპარაკობს და როგორი მანერა აქვს. დააკვირდით მის საუბარს და ხელებით ლაპარაკს „პარიზის" შესახებ, სადაც არც „ტრაქნიკია" და არც „გადასახადი". ნუ დაივიწყებთ მწყემსებს ვიგას (ჰ. ფრანგიშვილი) და ქიტესას (გ. სარაჯიშვილი) რა ზედმიწევნით გადმოგვცემენ „მაღალი მთის" ბუნებას.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ნინო (თ. ჭავჭავაძე) მისი გულუბრყვილობა, სინაზე და იდილიური ბუნება (1-ლ მოქ—ში მხოლოდ გრიმი არ უწყობდა ხელს). წარმატებით ჩატარდა მასიური სცენაც. ისმის ეტლის ხმა და მთელი სახლობა გარბიგამორბის სიხარულით. შამოდის ნიკო (გ. დავითაშვილი) და სხვები. უსაზღვრო შთაბეჭდილებას ტოვებს მსახურებზედ (მსმენელებზე კიდევ მეტს). სცენის მოყვარეთა და მსახიობთა სახე, რომელნიც მასაში მონაწილეობენ, გამოხატავენ გრძნობას, როდესაც იხილავ ადამიანს, თან გიყვარს, თან გერიდება, თან ცოტა კიდეც თითქოს გეშინია და მაგრამ ათასგვარი ემოცია იღვიძებს გულში.

მე-2 მოქმედებაში აღსანიშნავია ნიკო (გ. დავითაშვილი) კატო (ან. ქიქოძე) მისი დამცინავი და ბოროტი სულით (რასაკვირველია ამ როლში). ეს ნამდვილი ბოროტი ქვრივია, ავხორცი, ვნებიანი. მართალია ვეინინგერი, რომ ქვრივის სიბოროტე, ყოველი ცხოველის სიბოროტეს სჭარბობს. მოხდენილ თამაშობას ხელს უწყობს მთელი სცენა. ბუნებრივად იყო გადმოცემული ნინოს ტიპი (თ. ჭავჭავაძე). ვფიქრობთ, რომ დიდი მომავალი ექნება მას ქარ. სცენაზე.

ამავე მოქმედებაში აღსანიშნავია ნიკოსა (გ. დავითაშვილსა) და კატოს (ან. ქიქოძე გარდა, თავადი დავით (ს. კორიშელი) ნამდვილი სურათ წარმოგვიდგენათ ძველი თავადის მოურიდებელი ლაპარაკი, პირუთვნო თავადის დროის შვილის კარგია აგრეთვე კ-ნა თამარა (ელ. ციმაკურიძე) მაშვლური თვისებით. რომელიც ყველასათვის „მეგობარს დაეძებს. თავის ადგილზეა კოლა (ალ. იმედაშვილი) და მერი (ალ. ქიქოძე) მე 3 მოქმედებაში უნაკლოა ნიკო (გ. დავითაშვილი მისი უკანასკნელი სცენა შედევრია. თავის ადგილზეა აგრეთვე ცოტა (შ. გომელაური), რომელსაც ცხოვრებისათვის „ალლო აუღია" კარგია კოლია (ალ. იმედაშვილი) რომელიც „ჰერიოპლანია ცდილობს მოშორდეს „ამ ჯოჯოხეთს."

მე მოქ. ნიკოს (გ. დავითაშვილის) შემდეგ პირველი ადგილი ეკუთნის ნინოს (თ. ჭავჭავაძეს). რა ბუნებრიობა, რა ზნეობრივი სტოიციზმი, რა გრძნობის სიღრმე და სიძლიერე სჩანდა მის ყოველ სიტყვაში. დასახულ მეეზოვე (ვ. გუნია) თითქო რუსი ჩამოვარდნილიყო, რუსის გლეხი მოსულიყოს შუა რუსეთიდგან. ორიოდე სიტყვა, რომელიც მთელ მონოლოგებს სჯობია.

ანსამბლი საერთოდ ყოველ მოქმედება ხელს უწყობდა. მაგ. მე-2 მოქმედებაში მოწაფე (ტ. აბაშიძე) და მასწავლებელი (ვ. ჯიქია) რომელიც თავის მოწაფეს სიყვარულით შესჩერებია და მისი ლექსის თქმას თავის ქნევით მიყვება.

დადგმის მხრით, კარგად იყო დადგმული. მხოლოდ მე-2 მოქმედებაში სინათლე ვერ იყო რიგზედ. რეჟ. კ. ანდრონიკაშვილს მადლობა ეკუთვნის ასეთი დადგმისათვის. წრევანდელ სეზონში იშვიათად წასულა ასე პიესა. პატარა დეფექტების აღნიშვნა არა ღირს.

პიესა ლამაზია და შინაარსიანი. იგი სიმბოლოა „ქართლის ბედის". დღესაც „გადაჭრილ მუხაზ" ბევრი ზის არა ქართველი ელემენტი და თავის ხმაზედ უღიღინებს, მაგრამ ვახტანგებიც მოიპოვებიან დაზრდილნი.....

ხ. ა.

## ჯანმრთელობის სახ. კომ. მოწოდება.

ამხანაგებო მოქალაქენო.

ამ განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც ქვეყანა განიცდის სასტიკ ეკონომიურ კრიზისს, გვეწვია ხოლერა ეს საშინელი მტერი დეტაკი ხალხის. აგერ უკვე თითქმის ოთხი წელიწადია რაც მთელ რუსეთის მუშებს თავისი დაკოჟრებულ ხელებით მაგრამ უშიშრად დროშა საბჭოს ხელის უფლებისა და ამ მთელ დროის განმავლობაში მათ არ განუცდიათ დამარცხება არც ერთ ფრონტზე: უკანასკნელის სიმრავლეზე მგონია ეჭვი არავის შეაქვს. ვინ არ დაუმარცხებია არ გაუნადგურებია ამ ავანგარდს საერთა-შორისო რევოლიუციისას—რუსეთის პროლეტარიატს. მრავალ რიცხოვანი მისი მტრები, საგარეო და შინაური შეიარაღებულნი, ტყვიისმფრქვევლებით და ხიშტებით, დიდიხანია უკვე შერცხვენილნი, თავზე ლაფ დასხმულნი და განადგურებულნი არიან. საერთაშორისო ბურჟუაზია, დამპალი ძირიან-ფესვიანათ ყოველ ზომასა ხმარობდა, რომ სიმშილის ხელებით ჩაეხრჩო მუშათა ხალხი, მაგრამ აქაც დაეჯახა შეუდრეკელ ძალას: და სამარცხვინოდ გაიპარა. დღეს ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, სცდილობს გაუსწროს მეორეს, რათა რაც შეიძლება მალე დასდოს ეკონომიური ხელშეკრულება რუსეთთან და თავისივე ნების ყოფის წინააღმდეგ მიაწოდოს ყოველნაირი მანქანა, საქონელი და სურსათ სანოვაგე. სასტიკ ეკონომიურ ნგრევის დროს წარმოუდგენელ დაუძლურების ხანაში რაც ყოველთვის წარმოადგენს ნოყიერ ნიადაგს ყოველგვარ სენისათვის, რუსეთი განიცდიდა ყოველნაირ ეპიდემიის საშინელ დღეებს და მათ შორის ხოლერის ეპიდემიას. მაგრამ ამ ბრძოლაშიაც არ შედრკა მუშა. მოკლე ხანში იგი ბოლოს უღებდა ამ მტერსაც და პირშივე სპობდა ხოლერის და პარტახტიან ტიფის ნასახს. რა მაგიერ იარაღს ხმარობდა რუსეთის პროლეტარიატი, რომ მისთვის საშიში არ არის უხილავი და თვალხილული მტერი.

აი, ამხანაგებო, რუსეთის პროლეტარიატი დაუძლეველია უპირველეს ყოვლისა თავისი სიძლიერით, თავის სოლიდარული მუშაობით ყოველნაირ ფრონტებზე და თავისი შეგნებით, რომელიც გაცილებით წინწაწეულია მთელ ამ რევოლიუციის ხანაში. ამხანაგებო, ჩვენი ნორჩი საბჭოთა საქართველო მეტად მძიმე დღეებს განიცდის. გარეშე ყოველივეს მას აკლია უმთავრესი არსებობის საგანი მას აკლია პური. იმპერიალისტურ ომის შედეგები და ბლოკადას არის მიზეზი: საყოველთაო გაღატაკებისა, სიმშილისა, პუჭყისა ყველა ეს არის ერთგული მოკავშირე დასახელებულ სტუმრისა—აზიურ ხოლერისა. მაგრამ ხოლერა საშინელი არ არის თუ კი ჩვენ შეგნებით ვაწარმოვებთ მასთან ბრძოლას; თუ ერთად შეთანხმებით მოვკიდებთ ხელს მუშაობას. ყველასათვის საჭიროა ცოდნა, რომ უმთავრესი ორგანო, რომლის საშვალებითაც ადამიანს შეეყრება ხოლმე ხოლერა არის პირი. ნუ დალევთ ადუღებელ წყალს, რადგანაც მასში ბუდობს გადამდები სენი და მას კი ჰკლავს ადუღება. ნუ შეჭამთ უმ ხილეულობას, და არა სამეურნეო საჭმელს, რადგანაც მათ შეუძლიათ მოშალონ კუჭ-ნაწლევის ნორმალური მუშაობა და ამ შემთხვევაში კი ხოლერა უფრო ადვილად შეეყრება ადამიანს, დაიფარეთ სადგურებელი ყოველივე მას, რასაც აჯდება ბუზი, რადგანაც თავისი პაწაწა თათებით გადააქვს ხოლერის სენი. დაიბანეთ ხშირ-ხშირად ხელები, რადგანაც ეს უკანასკნელი ეხება საგნებს რომელიც შესაძლებელია ხოლერიანი იყოს, უმთავრესად ბუზების წყალობით. თავდადებით შეასრულეთ ყველა ის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული ინსტრუქციები და წესები სანიტარული მუშაობისა. მიიღეთ აქტიური მონაწილეობა ქალაქის სანიტარულ გასუფთავების კვირაში და წყლის მამარაგეობაში, რომელიც გაიმართება ახლო მომავალში, და საკუთარი მაგალითებით ერთსულოვან მუშაობაში გაიტაცეთ მცხოვრებთა საერთო მასები გახსოვდეთ ამხანაგებო რომ ნაჩვენები ზომები უსაქმო ფანტაზიორობის გამოგონება კი არ არის, არამედ ნამდვილი მეცნიერულად დაარსებული გარანტია ხოლერისაგან თავის დაცვისათვის, შეასრულებთ ყველა იმას რასაც მოითხოვს მეცნიერება—თქვენ ხოლერით არასოდეს გახდებით ავად; თუ არ შეასრულებთ იგი მარჯვნივ და მარცხნივ გასცელავს დამნაშავეს და უდანაშაულოს. მაშ მოვკიდოთ ყველამ საერთოდ ხელი მუშაობასა; ერთსულოვანათ და მტკიცედ შევეთვისოდ უსაშინლეს ადამიანის მტერს. მთელ ქვეყანას დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ ბედნიერი ზარდენით იმ ზომამდე რომ ხოლერის არ გვეშინიან და სანიტარიის წესებით მოქცევით არ დავუშვებთ მისი შე გავრცელებას. დავდგეთ მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების ავანგარდში საერთო მტრის განადგურების საქმეში.

თქვენ, კი ამხ. კომუნისტებო, თქვენ მუდამ იდექით თავგანწირულ მებრძოლ რიგში; ენტუზიაზმით აღფრთოვანებდით თქვენს უკან მომავალს წითელ არმიას. თქვენ ყოველთვის და მუდამ პირველნი რჩებოდით ბრძოლის საშინელ ადგილებში და მამაცად იგერიებდით მტრის გაშმაგებულ იერიშებს: ყოფილიყო ეს თუნდა სამხედრო ფრონტი, თუნდა დანგრეული ეკონომიური ფრონტი ან თუნდა ეპიდემიურ ავადმყოფობასთან საბრძოლველი ფრონტი. აშკარად დაანახეთ, ამხ. კომუნისტებო, დღესაც თქვენი გამოცდილება, ძალა და შეუპოვრობა. დღესაც ჩასდექით მწყობრი რიგებით მუშათა მასების ავანგარდში უსიტყვოდ შეასრულეთ მეცნიერების და გამოცდილობის ყველა მოთხოვნილება, რადგანაც მაშინ მოგვეცემა საშუალება წინასწარად მივიღოთ ხოლერის განაჩენის საწინააღმდეგო ზომები და ძირიან ფესვიან მოვსპოთ; თვალები ქალაქის მცხოვრებთა მოპყრობილია თქვენსკენ წაიყვანეთ იგი გამარჯვებისკენ. ერთსულოვნათ, ამხანაგებო, წინ ბრძოლისაკენ. არავითარი ხოლერა არ უნდა გვაშინებდეთ, რადგანაც იგი ვერ გაუძლებს საერთო იერიშს. წინ ამხ. კომუნისტებო, ყველასათვის ჩვენთვის საყვარელი მუშათა და გლეხთა საქართველოს ბედნიერებისათვის. წინ! წინ!

## ჩვენი ფოსტა

**პროვინციის კორესპონდენტებს.** მოგვაწოდეთ პროვინციის ცხოვრებიდან წერილები.

**აგენტებს.** გაზეთი გამოეგზავნებათ განსაზღვრული რაოდენობით და მხოლოდ წინასწარად ფულის გამოგზავნით.

რედაქტორი თედო ჟღენტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაიკარგა** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მიღებული იარაღის ტარების ნებართვა № 6202 (რეული ვინტოვკისა და „ნაგანი"-ს სისტ. რევ.) პეტრე ამირანოვის სახელზე, გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ. 1097

**დაიკარგა** პასპორტი ზაქრო ხოკერია ვილის სახელზე მიღებული სოფ. ქავთისხევიდან აღებული, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1091

**დაიკარგა** მოწმობა იოსებ გრიგორის ძე მჭედლიძემ მიღებული ქალაქის უმფროსისგან, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1096

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
**ოლღა ხოფერია**
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩიჩუას სახლში. 1047

კბილის ექიმი
**აპოლონ ურუშაძე**
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად ხაფილიხი (914 ტ 606 სქესობრივი უძლურება, შინაგანი ხუხუნათი და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ბეითალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეზხაპუნებით. ქიით ცხვრის სასულე—მილას ავადმყოფობას ვკურნავ „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვუძლევი დარიგებას „ზოოტექნიკაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქ. № 4, ბინა 2. 38